№2006 2015 წლის 17 სექტემბერი ქ. თბილისი

„საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2) სასესხო ხელშეკრულებების“ ცვლილების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად გ. კაკაურიძისა და ლ. ხუციშვილის დანიშვნის შესახებ

1. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1^1 პუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს 2012 წლის 24 ივლისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2) სასესხო ხელშეკრულებების“ ცვლილება.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ ცვლილებაზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები **გიორგი კაკაურიძე** და **ლაშა ხუციშვილი.**

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**